დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 10

ქ. დმანისი 26 ოქტომბერი 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. აზერ ალიევი
5. ილია სარსევანიძე
6. სოფიო ასლამაზაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მიხეილ დაუთაშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. მაკა ოკმელაშვილი
11. მურაზი აბრამიშვილი
12. შალვა ღამბარაშვილი
13. შახინ კოიალოვი
14. სტამბულ ისაევი
15. ემილ იბრაგიმოვი
16. გამლეტ ისმაილოვი
17. გუმბათ იუსუბოვი
18. გუსეინ ისმაილოვი
19. კახა დევნოზაშვილი
20. ლეილა მიქიანი
21. თორნიკე ნინაშვილი
22. ნატიგ ოვჩიევი
23. კახა ოქრიაშვილი
24. მერაბი ფოლადაშვილი
25. შაჰინ გასანოვი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნატო სამადაშვილი.

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომა დაიწყო: 12. 00

სხდომა დასრულდა: 12. 40

დღის წესრიგი:

1	**დადგენილება**: დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 დეკემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

2	**დადგენილება:** ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**

3	**განკარგულება**: გარე რეკლამის საშუალების ერთ კვადრატულ მეტრზე განთავსებისათვის აუქციონის წლიურ საწყის საფასურის განსაზღვრის შესახებ
მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**

4	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „RMG GOLD“-ს (ს/ნ 225359947) შორის 2017 წლის 16 ივნისს დადებული ,,არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულება N2-ში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**

5	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2023 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 იანვრის №გ-109.109230173 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**

6	საკრებულოს თავმჯდომრის მიერ 2022-2023 წწ. გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის თაობაზე
მომხსენებელი:	**პ.ყულიაშვილი**

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი, რომელსაც ერთახმად დაუჭირეს მხარი

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 დეკემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 19 სექტემბრის #1689 განკარგულების საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3.478.364,0 ლარი ნაცვლად 3.664.365,0 ლარისა. კლებამ შეადგინა 186.001,0 ლარი, რაც ასახული იქნება 02_01_02 ორგანიზაციული კოდი „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში. ამრიგად 02_01_02 ორგანიზაციული კოდი „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი 2.991,8 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრება 2.805,8 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულიდან გამოყოფილი ტრანსფერი).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 29 სექტემბრის #04-03/76707 წერილის საფუძველზე, დამატებული ღირებულების გადასახადის ოდენობა საორიენტაციოდ გაიზარდა 319,2

ათასი ლარით და 12.129,6 ათალს ლარის ნაცვლად შეადგენს 12.448,8 ათას ლარს. აღნიშნული თანხა მთლიანად მიემართება ორგანიზაციული კოდი 02_02_02 „სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიატაცია“-ს „გრანტი“-ს მუხლში. (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე)

01_01_02 ორგანიზაციული კოდი „მუნიციპალიტეტის მერია“-ს “შრომის ანაზღაურება“-ს მუხლიდან აუთვისებელი თანხა 6,1 ათასი ლარის ოდენობით მიემართოს 06_01_01 ორგანიზაციული კოდის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა“-ს „სუბსიდიები“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 107,5 ათასი ლარისა განისაზღვროს 113,6 ათასი ლარით (სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი);

01_01_02 ორგანიზაციული კოდი „მუნიციპალიტეტის მერია“-ს “შრომის ანაზღაურება“-ს მუხლიდან აუთვისებელი თანხა 2,5 ათასი ლარის ოდენობით მიემართოს 01_01_03 ორგანიზაციული კოდი „ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა“-ს „საქონელ და მომსახურება“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 3,5 ათასი ლარით ლარით (სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი) (საფუძველი: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69 მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელიგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველ პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთ გადანაწილება);

01_01_02 ორგანიზაციული კოდი „მუნიციპალიტეტის მერია“-ს “შრომის ანაზღაურება“-ს მუხლიდან 1,5 ათასი ლარი გადატანილი იქნეს ამავე კოდის „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 20,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 21,5 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 აგვისტოს #გ-109.109231714 განკარგულების საფუძველზე „დმანისის მუნიციპალიტეტში 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე“, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #გ-109.109230584 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, განხორციელდეს შებდეგი ცვლილებები :

- 02_01_01 ორგანიზაციული კოდი „გზების მიმდინარე მოვლა შენახვა“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი შემცირდეს 88,9 ათასი ლარით და ნაცვლად 445,1 ათასი ლარის განისაზღვროს 356,2 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- 02_02_01 ორგანიზაციული კოდი „სასმელი წყლის სისტემის მოვლა-შენახვა“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი შემცირდეს 34,1 ათასი ლარით და ნაცვლად 41,3 ათასი ლარის განისაზღვროს 7,2 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- 02_04_02 ორგანიზაციული კოდი „ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია“-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლი შემცირდეს 59,5 ათასი ლარით და ნაცვლად 300,0 ათასი ლარის განისაზღვროს 240,5 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- 02_07 ორგანიზაციული კოდი „საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების სესყიდვა“ „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირდეს 52,0 ათასი ლარით. ასევე აღნიშნული მუხლიდან 6,7 ათასი ლარი გადატანილი იქნეს ამავე კოდის „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- 06_02_02 ორგანიზაციული კოდი „ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა“ „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი შემცირდეს 6,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 64,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 58,0 ათასი ლარით.

ზემოთ ჩამოთვლილი შემცირებული თანხები მიემართოს შემდეგ გადასახდელებში:

- 02_01_02 ორგანიზაციული კოდი „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი გაიზარდოს 20,0 ათასი ლარით და ნაცვლად 1.481,5 ათასი ლარის განისაზღვროს 1.501,5 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

- 02_02_02 ორგანიზაციული კოდი „სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია“-ს „გრანტი“-ს მუხლი გაიზარდოს 0,8 ათასი ლარით, რასაც ემატება დღგ-ს 319,2 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.200,0 ათასი ლარის განისაზღვროს 1.520,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- 02_04_01 ორგანიზაციული კოდი „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი გაიზარდოს 106,0 ათასი ლარით, და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.746,9 ათასი ლარის განისაზღვროს 1852,9 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- 06_02_03 ორგანიზაციული კოდი „სოციალურიად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური, ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამა“-ს „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლი გაიზარდოს 107,7 ათასი ლარით და ნაცვლად 420,0 ათასი ლარის განისაზღვროს 527,7 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- 06_02_05 ორგანიზაციული კოდი „მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა“-ს „სუბსიდიები“-ს მუხლი გაიზარდოს 6,0 ათასი ლარით და
  ნაცვლად 147,0 ათასი ლარის განისაზღვროს 153,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

05_01_02 ორგანიზაციული კოდი „სპორტული ღონისძიებები“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლიდან 14,7 ათასი ლარი, ამავე კოდის „სხვა ხარჯები“-ს მუხლიდან 1,1 ათასი ლარი და 05_02_04 ორგანიზაციულ კოდი „კულტურული ღონისძიებები“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლიდან 28,6 ათასი ლარი, ჯამში 44,4 ათასი ლარი გადატანილი იქნეს 05_02_04 ორგანიზაციული კოდი „კულტურული ღონისძიებები“-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლში, და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 83,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 127,4 ათასი ლარით;

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს 29.002,8 ათასი ლარის ოდენობით.

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს 28.869,6 ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: კახა ოქრიაშვილმა, თორნიკე ნინიაშვილმა სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამასთან დაკავშირებით.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

2. მომხსენებელი : ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლით მტკიცდება “ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესი“ (შემდგომში - წესი), რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტით განსაზღვრული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) განხორციელების რეგულირება, რომელიც გულისხმობს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების (შემდგომში - ამხანაგობა ან ამხანაგობები) განვითარებისა და შემდგომში ფინანსურად დამოუკიდებელ სუბიექტებად ჩამოყალიბების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, ფინანსურ მხარდაჭერას, ასევე, ამხანაგობების აღრიცხვის/აღრიცხვიდან მოხსნის პირობების განსაზღვრას.

აღნიშნული წესი განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში, ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ექსპლუატაციის და განვითარებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების

დაფინანსების და „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამხანაგობის აღრიცხვის პროცედურებს.

წესის **თავი I ზოგადი დებულებები** მოიცავს 3 (სამი) მუხლს (პირველი - მე-3 მუხლები) და ამ მუხლებში აღწერილია თუ რას განსაზღვრავს წინამდებარე წესი.

წესის **თავი II ამხანაგობის აღრიცხვა** შედგება 4 (ოთხი) მუხლისაგან და არეგულირებს ამხანაგობის აღრიცხვის პროცედურებს, კერძოდ, მეორე მუხლი მოიცავს ამხანაგობის საერთო კრების ოქმში მისათითებელ რეკვიზიტებს/ინფორმაციას. მე-3 მუხლი ადგენს ამხანაგობის აღრიცხვაზე აყვანის მიზნით, მერიაში განცხადების წარმდგენ უფლებამოსილ პირს და განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების ნუსხას, აგრეთვე ამხანაგობის აღრიცხვაზე აყვანის შემთხვევაში აღრიცხვის ფურცლის სავალდებულო რეკვიზიტებს. მე-4 მუხლით განსაზღვრულია ამხანაგობის აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილების შეტანის პროცედურები და მე-5 მუხლით ამხანაგობის აღრიცხვიდან მოხსნის წინაპირობები.

წესის **თავი III ამხანაგობის განვითარება** შედგება 5 (ხუთი) მუხლისაგან (6-10 მუხლები) და განსაზღვრავს ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარების მიზნით,

აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსების პროცედურებს. ამ თავის მე-7 მუხლი ადგენს პროგრამით სარგებლობისათვის მერიაში წარმოსადგენ განცხადებაში მისათითებელ ინფორმაციას და თანდართულ დოკუმენტებს.

წესის მე-8 მუხლით ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარების მიზნით შესაძლებელია დაფინანსდეს შემდეგი სამუშაოები:

ა) სახურავის შესაკეთებელი სამუშაოები (წყალსაწრეტი მილები, ქანობიანი და ბრტყელი სახურავი);

ბ) წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანალიზაციის (საერთო სარგებლობის) გაყვანილობის სამუშაოები;

გ) ფასადის შეკეთება;

დ) საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის სამუშაოები (კიბეები, აივნები, თაღები, მოძრაობის სენსორული სანათების დამონტაჟება, საერთო სარგებლობის ჭიშკარი ან/და სადარბაზოს კარების დამზადება და მონტაჟი, სართულშუა ნაპრალების სამუშაოები);

ე) 5 სართულამდე შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები;

ვ) ეზოების კეთილმოწყობა;

ზ) ბინათმესაკუთრეთა მიერ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე განხორციელებული ე.წ მიშენებების (არაინდივიდუალური) კონსტრუქციების მდგრადობისა და სეისმომედეგობის განსაზღვრა.

სახურავის და ფასადის შესაკეთებელი სამუშაოების თანადაფინანსება განხორციელდება 98%-ით, ამხანაგობების მხრიდან მხოლოდ 2%-იანი თანამონაწილეობის შემთხვევაში. ხოლო სხვა დანარჩენ ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოების შემთხვევაში თანადაფინანსება განხორციელდება 95%-ით, ამხანაგობების მხრიდან მხოლოდ 5%-იანი თანამონაწილეობის შემთხვევაში.

წესის მე-9 მუხლი ადგენს მერიის მიერ განცხადების შესწავლის, განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის კრიტერიუმებს.

წესის მე-10 მუხლით მერია სამუშაოების შესყიდვას განახორციელებს სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით, ელექტრონული ტენდერით და გაფორმდება სამმხრივი ხელშეკრულებას ტენდერში გამარჯვებულ პირთან და ამხანაგობასთან. ამხანაგობის თანამონაწილეობის წილის პროცენტული ოდენობის გამოანგარიშება მოხდება ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხიდან. ამ მუხლის მიხედვით, ამხანაგობა ვალდებულია, ტენდერში გამარჯვებულ პირს ჩაურიცხოს თანადაფინანსებით გათვალისწინებული თანხა წინასწარ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობით, მონაწილეობა მიიღოს შესასრულებელი სამუშაოების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაში.

დადგენილების მე-2 მუხლით მტკიცდება ამხანაგობის აღრიცხვის ფურცელი დანართი N2-ის შესაბამისად.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 სექტემბრის N45 დადგენილება (შემდგომში - N45 დადგენილება), რომლითაც

დამტკიცებული იყო მხოლოდ ამხანაგობის აღრიცხვის წესი და არ ითვალისწინებდა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამას.

წინამდებარე პროექტის ამოქმედების შემთხვევაში, N45 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად აღრიცხვაზე აყვანილ ამხანაგობებზე გავრცელდება ამოქმედებული დადგენილებით დამტკიცებული წესი.

პროექტის მიხედვით დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი და მეორე თავი ამოქმედდება დადგენილების გამოქვეყნებისთანავე, ხოლო თავი III ამოქმედდება 2024 წლის პირველი იანვრიდან.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედება გავლენას მოახდენს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, კერძოდ 2024 წლის ბიუჯეტში უნდა განისაზღვროს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“, შესაბამისი ქვეპროგრამის კოდით (02 04 03) და ფინანსური სახსრებით, რომლის ოდენობაც შეადგენს 50 000 ლარს.

გ) სხვა ნორმატიულ აქტებში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის შესახებ, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების მიღება არ გამოიწვევს სხვა ნორმატიულ აქტში ცვლილებებს ან დამატებებს.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

3. მომხსენებელი : ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი გარე რეკლამის საშუალების ერთ კვადრატულ მეტრზე განთავსებისათვის აუქციონის წლიური საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ.

,,შპს,უძრავ - მოძრავი ქონების შემფასებელთა ჯგუფი 777'' შეფასების დასკვნის შესაბამისად , საჭიროა დამნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ერთ კვადრატული მეტრზე გარე რეკლამის განთავსების ადგილის წლიური, საწყისი საორიენტაციო ფასი 1 კვ. მ-ზე განისაზღვროს 30 ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

4. მომხსენებელი : ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „RMG GOLD“-ს (ს/ნ 225359947) შორის 2017

წლის 16 ივნისს დადებული ,,არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულება N2-ში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

2017 წლის 16 ივნისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „არ ემ ჯი ” გოლდს შორის გაფორმებულ ხელშეკრულების მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტში საჭიროა შევიდეს ცვლილება და საიჯარო ქირა არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის სარგებლობისთვის განისაზღვროს 15864 ლარით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

5.მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2023 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ ‘’ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 იანვრის №გ-109.109230173 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

‘’ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 იანვრის №გ-109.109230173 განკარგულების დანართი 1–ს დაემატოს შემდეგი სამი ობიექტი:

38	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისი გორგასლის ქ. N8	82.01.42.294	21		1500	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
39	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისი ს. საკირე	82.16.41.052	223	184.69	2000	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
40	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ამამლო, 1-ლი ქუჩა, N 20	82.15.45.814	110	47.83	6810	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

6.მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო 2022-2023 წწ. გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

2022 წლის ნოემბრიდან მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში როგორც დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოსთან ერთად მიღებული იქნა ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, დამტკიცებული იქნა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე სოციალური პროგრამები.

- დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლობის საფუძველზე წარმატებით დასრულდა დმანისის მუნიციპალიტეტში შემავალი ორმოცდათხუთმეტივე სოფლის დამისამართების სამუშაოები, რაც თავის მხრივ მოიცავდა: 1) ყველა დაუმისამართებელ სოფელში (54 სოფელი) სახელწოდების არმქონე ქუჩების სახელდება (დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 ნოემბრის განკარგულება №გ-109, 109223267); 2) ყველა დაუმისამართებელი სოფლის (54 სოფელი) განაშენიანებულ ტერიტორიაზე ახლად სახელდებული ქუჩების გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ უძრავი ნივთებისთვის ნუმერაციის მინიჭება და მათთვის ინდივიდუალური

მისამართების განსაზღვრა, სამისამართო რეესტრში რეგისტრაცია (ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში აღრიცხვა);

- 2022 წელს საკრებულოს მიერ დამტკიცებულ სოციალურ პროგრამებს მოსახლეობის ინტრესებიდან გამომდინარე დაემატა 6 ახალი პროგრამა, მთლიანობაში შეადგინა 16 პროგრამა:

1. ,,ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2023 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა"
2. ,,დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების დახმარების 2023 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა"
3. ,,ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარების 2023 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა"
4. ,,მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების 2023 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა"
5. ,,მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების 2023 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა"
6. ,,18 წელს გადაცილებულ შეზღუდული შესაძლებლობის ქალთა და 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 2023 წლის სოციალური დაცვის მუნიციპალური ქვეპროგრამა"
7. ,,მარჩენალდაკარგული, დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის 2023 წლის სოციალური ქვეპროგრამა"
8. ,,ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (ბიოსაწვავი ,,ბრიკეტით") უზრუნველყოფის 2023 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა"
9. ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული დახმარების, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის 2023 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა"
10. ,,აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების 2023 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა"
11. ,,მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის 2023 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა"
12. ,,ტრანსპორტით მომსახურების 2023 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა"
13. ,,ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების თანადაფინანსების 2023 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა"
14. ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსახლკარო სტატუსის მქონე მრავალშვილიანი (არასრულწლოვანი) ოჯახების დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის 2023 წლის ქვეპროგრამა"
15. ,,ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამაში ჩართული 0-18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი, ბავშვიანი ოჯახების ქირით უზრუნველყოფის 2023 წლის ქვეპროგრამა"
16. ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების (ქირით უზრუნველყოფის) 2023 წლის ქვეპროგრამა."

- ასევე, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის მიზნით დამტკიცდა შემდეგი პროგრამები:

1.„დმანისის მუნიციპალიტეტში უმაღლესი განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, წარჩინებულ სტუდენტთა და წარმატებული (პრიზიორი) სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამის განხორციელების წესი";

2.დმანისის მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესი და პირობები;

3.დმანისის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის, როგორც სპორტის ერთერთი სახეობის პოპულარიზაციისა და ნორჩი სპორტსმენების ხელშეწყობის მიზნით, ნორჩ ფეხბურთელთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესი და პირობები;

4.დმანისის მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელების მიზნით, წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდობის მხარდაჭერის ქვეპროგრამის განხორციელების წესი და პირობები.

- სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დამტკიცდა დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა, სადაც საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს'' ინიციატივით შესაძლებელია ბენეფიციართა დამატებით განსაზღვრა თუ აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმს.
- განკარგულების პროექტები შესასწავლად წარდგენილია მერიაში.

ამ პროგრამის ბენეფიციარებისათვის მომსახურება არის უფასო.

- საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა ,,სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სოციალური პროგრამა'' რომლის მოსარგებლე პირი (ბენეფიციარი) შეიძლება იყოს - სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რეგიონიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული პირი, რომელსაც საკუთრებაში გააჩნია დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული პირებისათვის აშენებული საცხოვრებელი სახლი, რომლის სახურავი არის დაზიანებული და შესაბამისი კომისიის დასკვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს; აღნიშნული პროგრამით 2022 წელს მოეწყო 10 საცხოვრებელი სახლის სახურავი, მიმდინარე 2023 წელს 17 სახურავი და მომდევნო 2024 წელს კიდევ იგეგმება დაზიანებული სახურავის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა,
- მინდა ავღნიშნო რომ თქვენი მხარდაჭერით ვიმედოვნებთ ამ პროგრამის გაგრძელებას მომდევნო წლებშიც.
- როგორც საკრებულოს წევრმა საკრებულოს წინაშე წარვადგინე ინიციატივა- - დმანისის მუნიციპალიტეტის მეწარმეობის განვითარების პროგრამის განხორციელების წესის შესახებ, რომლის მიღების მიზანს წარმოადგენს, დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა, რეგიონში აგროტურისტული პოტენციალის განვითარება, ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით, სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა, რეგიონში სამუშაო ადგილების შექმნა და ა.შ.
- საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა. შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერება.
- ჩემი ჩართულობით თქვენთან და მერიის სამსახურებთან სამუშაო პროცესში შემუშავებული იქნა და დამტკიცებული დმანისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმა (2023-2027) რომელიც მოიცავს:

ა) ინფორმაციას მოსახლეობისგან ნარჩენების შეგროვების არსებული სისტემის შესახებ;

ბ) მონაცემებს შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული არასახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ;

გ) მონაცემებს მოსახლეობისგან შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული სახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ;

დ) ნარჩენების დამუშავების საწარმოების ადგილმდებარეობას;

ე) ინფორმაციას მუნიციპალური ნარჩენების, მათ შორის ბიოდეგრადირებადი ნარჩენებისა და შეფუთვის ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და აღდგენის სისტემის დანერგვის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ვ) ნარჩენების დამუშავების ახალი ობიექტების მშენებლობის გეგმებს;

ზ) ნარჩენების მართვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამებს;

თ) ნარჩენების მართვის სფეროში სხვა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის არსებულ და დაგეგმილ ღონისძიებებს;

ი) გეგმით გათალისწინებულ ღონისძიებების განხორციელების გზებს და ვადებს, პასუხისმგებელ პირებს, სავარაუდო ხარჯებს და დაფინანსების წყაროებს.

- შემოღებული იქნა დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციები, რის საფუძველზეც დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემენილ იქნა დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ხაზინასთან ინტეგრირებული მართვის სისტემა, რომლის საშუალებითაც მოხდება აბონენტების აღრიცხვა-ადმინისტრირება, აბონენტის ნომრის მინიჭება. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ხაზინასთან ინტეგრირებული მართვის სისტემის პროგრამის ინსტალაციისა და პროგრამაში მუშაობის სწავლების შემდგომ მოხდება გადამხდელთა მონაცემის ერთიანი ბაზის შექმნა;
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად საკრებულოს მიერ შემუშავებული იქნა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები, რომლის მიზანია, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, მისთვის განისაზღვროს ქცევის მაღალი ეთიკური სტანდარტები,
- ხელი შეუწყოს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას, საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობების ღირსეულად, მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შესრულებას, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ამაღლებას, მისი რეპუტაციის, პატივისა და ღირსების დაცვას.
- დმანისის მუნიციპალიტეტი საქართველოს მასშტაბით, 11 მუნიციპალიტეტს შორის მოხვდა, სადაც USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა განხორციელდება, გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმები, რომელიც წარმოადგენს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამასა და მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის საფუძველს, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული მუნიციპალიტეტების საქმიანობის გაუმჯობესებას და მუნიციპალიტეტის დასახლებებში მცხოვრები ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაზრდას.
- 2022 წელს საკრებულოს აპარატში დარეგისტრირდა პეტიციები: დმანისის მუნიციპალიტეტის ამამლოს თემში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნისა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ''და დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ირგანჩაიში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნისა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ'' საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განიხილა პეტიციები, ხოლო საკრებულომ კომისიის გადაწყვეტილება პეტიციების განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე ცნობად მიიღო., საფუძველი იყო ის გარემოება, რომ აღნიშნული სკოლამდელი აღზრდის

დაწესებულებების მშენებლობის გადაწყვეტილება უკვე დაანონსებული იყო საქართველოს მთავრობის მიერ. ორივე სოფელში იქნება თანამედროვე სტანდარტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება რომელიც გათვლილა 125 ბავშვზე და მოემსახურება ახლოს მდებარე სოფლებსაც.

განისაზღვრა საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ მოქალაქეთა მიღების გრაფიკი.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შევხვდი მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობას სხვადასხვა პროექტებისა და პროგრამების განხორციელების მიმდინარეობისას:

- მერთან, კობა მურადაშვილთან ერთად შევხვდით სოფლების: სოგუთლოს, უსეინქენდის პირველი და მეორე სალამალეიქისა და მამიშლარის მოსახლეობას
- შეხვედრაზე განვიხილეთ განხორციელებული პროექტები და სამომავლო გეგმები, სოფლისთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხები.

მერთან, ერთად მონაწილეობა მივიღეთ, ქალაქ დმანისში N2 ახლად რეაბილიტირებული საბავშვო ბაღის გახსნაში.

- პროექტის ფარგლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა შენობას, შეიცვალა ძველი ელექტრო, საკანალიზაციო და წყლის სისტემა, მოეწყო სველი წერტილები, ცენტრალური გათბობა,

სააღმზრდელო ოთახები, საძინებლები და სამზარეულო. ეზოში დამონტაჟდა ატრაქციონები. შემოიღობა ეზოს პერიმეტრი.

✓ მერთან ერთად მონაწილეობა მივიღეთ სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ „გენდერული თანასწორობისა და სექსუალური შევიწროების“ საკითხებზე შეხვედრაზე, სადაც ისაუბრეს ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული სერვისების ხელმისაწვდომობასა და მხარდამჭერი ღონისძიებების აუცილებლობაზე.

✓სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერთან ერთად გავმართეთ შეხვედრები მოსახლეობასთან, საკრებულოს წარმომადგნლების და მერიის თანამშრომლებთან მონაწილეობით.

ასევე შეხვედრები გავმართეთ კარაბულახის და კამარლოს ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებში.

◆მოსახლეობასთან შეხვედრისას პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ძირითად პრიორიტეტებზე ვისაუბრეთ სადაც შემდეგი პრიორიტეტები გამოიკვეთა.

◆გარე განათების სისტემის მოწყობა

◆გზის რეაბილიტაცია

◆სასმელი წყლის მოწყობა

✓ შეხვედრები ასევე გაიმართა ოროზმანის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში სადაც მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

📌ზემო ოროზმანი - საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში სველი წერტილების მოწყობა;

📌ქვემო ოროზმანი - გარე განათების სისტემის მოეწყობა;

📌მთისძირი - სკვერის მოწყობა;

📌ვაკე - გარე განათების სისტემის მოწყობა;

📌დალარი - გარე განათების სისტემის მოწყობა;

📌 კიზილქილისა - გარე განათების სისტემის მოწყობა;

📌აზერბაიჯანული კაკლიანი - გარე განათების სისტემის მოწყობა.

მერთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად თითოეულ სოფელში, ადგილობრივი თემისთვის პრიორიტეტული საპროექტო წინადადებები მოსახლეობასთან ერთად განვიხილეთ.

◆წყალი, გარე განათება, სკვერისა და სველი წერტილების, სანიაღვრე არხების მოწყობა, გზის მოხრეშვა - ეს ის ძირითადი საჭიროებებია, რომელიც მოსახლეობის მხრიდან სოფლის საერთო კრებებზე ყველაზე ხშირად დასახელდა.

◆2023 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 686 000 ლარი გამოიყო, რასაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან, თანადაფინანსებით გამოყოფილი თანხებიც საჭიროებისამებრ დაემატა უმეტეს შემთხვევაში მოხდა გამოყოფილი თანხების გასამმაგება. სოფლებში საკონსულტაციო შეხვედრები 26 იანვრიდან 8 თებერვლის ჩათვლით გაიმართა. თითოეულ სოფელში ის ინფრასტრუქტურული პროექტები დაიგეგმა რომელიც მოსახლეობამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა. შერჩეული პროექტები კი დასამტკიცებლად დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება. ყველა მათგანი უკვე დაკონტრაქტებულია, ნაწილი დასრულებულია.

◆საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და დმანისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის თანამშრომლობით, სსიპ ქალაქ დმანისის ამამლოს საჯარო სკოლაში 27 აღსაზრდელზე გათვლილი სასკოლო მზაობის ჯგუფი გავხსენით. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ მუნიციპალიტეტში მოიმატა მომართვიანობამ და საჭიროებიდან გამომდინარე, ქალაქ დმანისის N2 სააღმზრდელო დაწესებულებას დაემატა მეორე ჯგუფი, რომელიც გათვლილია 21 აღსაზრდელზე.

მონაწილეობა მივიღეთ შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია ◦ Swiss Agricultural School Caucasus დმანისში ახალ ტრენინგ-ცენტრის დაფუძნების ღონისძიებაში. პროექტი მიზნად ისახავს შვეიცარიული ინდივიდუალური სწავლების პრინციპებზე დაფუძნებული მაღალხარისხისანი პრაქტიკული პროგრამების შეთავაზების გზით ფერმერებისა და რძის გადამამუშავებლებისთვის დასაქმებისა და პროდუქტიულობის ზრდის შესაძლებლობების შექმნას.

მონაწილეობა მივიღეთ ,,დავასუფთაოთ მსოფლიო" კამპანიის ფარგლებში.

1.დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან ერთად, დმანისში სხვადასხვა ადგილების დაასუფთავავების აქციაში.

მივიღე მონაწილეობა ასევე მუნიციპალიტეტში განხორციელებულ სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და შეხვედრებში.

ჩვენი ერთობლივი ძალისხმევის შედეგად ახალი სკოლების აშენების მიზნით განხორციელდა ძველი ამორტიზებული შენობების სოფ, განთიადის, სოფ. ოროზმანის და სოფ. საფარლოს სკოლების სრული დემონტაჟი. (საფარლო მიმდინარეობს).

ამ ეტაბზე უკვე დაიწყო ზემო ოროზმანის ახალი სკოლის მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურები.

ასევე დაიგეგმა სოფ მაშავერის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, რის გამოც მოსწავლეებს უწევთ სხვა სკოლაში ტრანსპორტირება, რომელსაც ახორციელებს განათლების სამინიტრო ჩვენი ჩართულობით.

ყველა ხედავთ ასევე რომ მიმდინარეობს სოფ. დიდი დმანისის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.

ასევე თქვენი მხარდაჭერით დავგეგმეთ და შევიძინეთ სამი ახალი ავტობუსი მილიონ ასი ათასის ღირებულების, რომელიც ტენდერის პირობებიდან გამომდინარე მოგვეწოდება 2024 წლის პირველ კვარტალში და პირველყოვლისა მოემსახურება მუნიციპალიტეტის მოსახლეობას;

ასევე როგორც იცით სერვის ჯგუფის მომსახურების გაფართობის მიზნით შევიძინეთ ახალი ტენიკა

თვითმცლელი	სატვირთოს ავტომანქანა ღირებულება	92170 ლარი;
ამწე კალათიანი ტიპის ავტომანქანა ღირებულება		122770 ლარი;
ნაგავმზიდი ავტომანქანა		430630 ლარი;

იაპონის საელჩოს გრანტით მყარი ნარჩენების ავტომანქანა 120212 ლარის ღირებულებით.

როგორც მოგეხსენებათ გახლავართ აგრეთვე გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს ინიციატივით სხვადასხვა საჭირო ღონისძიებები და აქტივობები განხორცილედა რომლის ანგარიშს დეტალურად წლის ბოლოს წარმოგიდგენთ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი